



მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

მარნეული
2021

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის მისიაა

- ✓ განახორციელოს საქართველოს სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო პროფილის საგანმანათლებლო პროგრამები და სხვადასხვა მიმართულების პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები, რითაც ხელს შეუწყობს ქვეყნისა და ქვემო ქართლის რეგიონში კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასა და დასაქმებას;
- ✓ იზრუნოს პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე და ხელი შეუწყოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას;
- ✓ მოამზადოს მაღალკვალიფიციური, ლიბერალური ღირებულებების საზოგადოების აქტიური წევრები, განუვითაროს მათ პროფესიული უნარები და უზრუნველყოს მათი კონკურენტუნარიანობა დასაქმების ბაზარზე;



შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის ხედვაა

შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“ 2024 წლისათვის არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც სწავლების თანამედროვე მეთოდებით, საგანმანათლებლო პროგრამებითა და მრავალფეროვანი სერვისებით პასუხობს საქართველოსა და ქვემო ქართლის რეგიონის წინაშე არსებულ გამოწვევებს, ემსახურება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას; ხელს უწყობს ადამიანურ ღირსებას, უნივერსალურ ადამიანურ უფლებებს და თავისუფლებას ყველასთვის განურჩევლად კაცის, ქალის, რასის, ფერის, რელიგიის და წარმომავლობისა.



შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი მიზანია

შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ მიზანია უზრუნველყოს საზოგადოება მაღალ კვალიფიციური პროფესიული განათლებით, რაც ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობის საფუძველი იქნება.



შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის ღირებულებებია

- ✓ საყოველთაოდ აღიარებული ეთიკის ნორმებისა და პრინციპების დაცვა;
- ✓ პროფესიული ცოდნის გადაცემის უკომპრომისო ვალდებულება;
- ✓ მაღალკვალიფიციური პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ურთიერთდახმარების ვალდებულება, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება ჩვენს ხედვასა და მისიას.
- ✓ აუდიტორიული/საკლასო განათლების კომბინაცია „რეალურ სამყაროს“ გამოცდილებასთან პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებით;
- ✓ ძლიერი კოლაბორაციული ურთიერთობები კერძო სექტორთან, მთავრობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი ახორციელებს ორ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას

საექთნო საქმე



ფარმაცია (სააფთიაქო)



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - საექთნო განათლება / Nursing



მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე -
უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher
Vocational Qualification in Nursing

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო
კლასიფიკატორის (ISCED) მიხედვით განეკუთვნება დეტალურ
სფეროს - „საექთნო და სამედიცინო საქმე“, კოდი 0913, აღმწერი -
“შეისწავლის ავადმყოფი, სნეული ან სპეციალური საჭიროებების
მქონე პირების ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას და
ექიმებისა და სხვა სამედიცინო და ჯანდაცვის პერსონალისთვის
დახმარების გაწევას პაციენტების დიაგნოზის დასმისა და
მკურნალობის დროს. საექთნო საქმის კვალიფიკაცია
ფოკუსირებულია ავადმყოფობისა და რეაბილიტაციის დროს
პაციენტების ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და მოვლაზე. ის
მოიცავს მოხუცების და ასევე სპეციალური საჭიროებების მქონე
ადამიანების ჯანდაცვას. სამედიცინო საქმე შეისწავლის ქალის
მოვლას (ჯანმრთელობის დაცვას) ორსულობის, მშობიარობისა
და მშობიარობის შემდგომ პერიოდში. ის ასევე მოიცავს ჩვილის
მოვლასა და დახმარებას მეძუძური დედებისთვის.”





მიზანი

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთნის მომზადება.

დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში, შინმოვლის სფეროში, სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურებას.



სტრუქტურა და მოდულები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს, როგორც თეორიულ და პრაქტიკულ, ასევე - კლინიკური სწავლების კომპონენტსაც. სწავლება-სწავლის პროცესის ხანგრძლივობა არის სამი წელი პროფესიული სტუდენტებისათვის ვისაც უდასტურდება ქართული ენის ცოდნა და ოთხი წელი ვისაც არ უდასტურდება ქართული ენის ცოდნა, სრული დატვირთვით. საგანმანათლებლო დაწესებულება პასუხისმგებელია თეორიული და კლინიკური მეცადინეობის დაგეგმვა-კოორდინაციაზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კლინიკური სწავლება სრული მოცულობის ნახევარს (90 კრედიტი) შეადგენს, თუმცა, კლინიკური სწავლების გარდა, სხვა კომპონენტების განხორციელებაც დაგეგმილია პრაქტიკის ობიექტზე.

პროფესიულ სტუდენტს, რომელსაც უდასტურდება ქართული ენის ცოდნა საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 180 კრედიტი (სავარაუდო ხანგრძლივობა 120 სასწავლო კვირა);
პროფესიულ სტუდენტს, რომელსაც არ უდასტურდება ქართული ენის ცოდნა პროგრამის მოცულობაა 210 კრედიტი (სავარაუდო ხანგრძლივობა 141 სასწავლო კვირა);





პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შედგება ზოგადი და პროფესიული მოდულებისგან. ზოგად მოდულთა კრედიტების რაოდენობა შეადგენს 9 კრედიტს, ხოლო პროფესიული მოდულების კრედიტების რაოდენობა კი 171. მოდულები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

ზოგადი მოდულები - 9 კრედიტი
თეორიული სწავლება საბაზო
მეცნიერებები - 24 კრედიტი
თეორიული სწავლება საექთნო საქმე - 45
კრედიტი
თეორიული სწავლება სოციალური
მეცნიერებები - 6 კრედიტი
პრაქტიკული სწავლება - 6 კრედიტი
კლინიკური სწავლება - 90 კრედიტი

საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა რომელსაც უდასტურდება ქართული ენის ცოდნა უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 კრედიტი.

საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა რომელსაც არ უდასტურდება ქართული ენის ცოდნა უნდა დააგროვოს არანაკლებ 210 კრედიტი.





მოდულების ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის ცოდნა. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

სემპ
ფერ



მოდულების დასახელება

- საინფორმაციო ტექნოლოგიები საექთნო საქმეში
- კომუნიკაცია საექთნო საქმეში
- ინგლისური ენა საექთნო საქმეში
- ჰისტოლოგია
- ბიოქიმია
- მიკრობიოლოგია
- ანატომია-ფიზიოლოგია
- პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)
- დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში
- ფარმაცოლოგია
- ტერმინოლოგია და დოკუმენტაცია საექთნო საქმეში
- ინფექციის კონტროლის საფუძვლები
- გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები
- ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები
- თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები
- გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები
- კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები და ანესთეზია
- სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები
- პედიატრია და მოზარდები



- ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია
- საექთნო პრაქტიკის პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებებში
- სამართლებრივი ასპექტები საექთნო საქმეში
- საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები
- ავადმყოფის მოვლა
- შინმოვლა
- კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა
- კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა
- კლინიკური პრაქტიკა- გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა
- კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა
- კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
- კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები
- კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია
- ქართული ენა A2
- ქართული ენა B 1



კლინიკური სწავლება არის ექთნის მომზადების ის ნაწილი, სადაც მომავალი ექთანი, როგორც გუნდის წევრი, ჯანმრთელ პირებთან და პაციენტებთან ან/და თემთან პირდაპირი კონტაქტის საშუალებით უკვე შეძენილი ცოდნითა და უნარებით ერთვება რეალურ სამუშაო გარემოში. კლინიკური სწავლება-სწავლა საავადმყოფოებსა ან/და სხვა სამედიცინო დაწესებულებებში, საზოგადოებაში, მოსახლეობაში მიმდინარეობს საექთნო საქმის პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და სხვა კვალიფიციური ექთნების ზედამხედველობის ქვეშ.

კლინიკური სწავლება ხორციელდება შემდეგ პარტნიორ კლინიკებში:

შპს ავერსის კლინიკა (კლინიკური სწავლება);
 შპს მარნეულის ამბულატორია (ბიოქიმიის მოდული);
 შპს რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი
 (კლინიკური სწავლება);
 შპს მარნეულის ამბულატორია (კლინიკური სწავლება).
 შპს ოპტიმალ მედი (კლინიკური სწავლება).



კურსდამთვრებულს შეუძლია:

შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა
 განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა
 განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა
 განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა
 განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა
 განახორციელოს პერიოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა
 განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
 განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
 განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა
 განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის
 საექთნო მართვა
 დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისა და მოვლის
 ხარისხის შეფასება.

კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა
 დააგროვოს ამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით
 განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა და ჩააბაროს
 საკვალიფიკაციო გამოცდა.



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - ფარმაცია
(სააფთიაქო) / Pharmacy

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია
ფარმაციაში/Higher Vocational Qualification in Pharmacy

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „ფარმაცია“, კოდი 0916, აღმწერი - „შეისწავლის წამლებს და ადამიანზე მათ გავლენას. მოიცავს წამლის მომზადებას, განაწილებასა და ადმინისტრირებას.“

მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, ჯანდაცვის სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა, კერძოდ, პროფესიული კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების–განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას;

დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება.



დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

ფარმაციაში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ფარმაცევტის/ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე ავთიაქებში (ავტორიზებულ ავთიაქში, სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში.

სტრუქტურა და მოდულები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს, ჯამური 11 კრედიტის მოცულობით, 26 პროფესიულ მოდულს, ჯამური 109 კრედიტის მოცულობით და ერთ არჩევით მოდულს 3 კრედიტის მოცულობით. შესაბამისი მოდულების გავლით პირი ეუფლება ცოდნას და კვალიფიკაციისათვის აუცილებელ პრაქტიკულ უნარჩვევებს. კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 123 კრედიტი. პროფესიული პროგრამაში განსაზღვრულია შემდეგი ტიპის მოდულები:

ზოგადი კომპეტენციების განმავითარებელი - 11 კრედიტის მოცულობით;
პროფესიულ/დარგობრივი მოდულები - 109 კრედიტის მოცულობით.
არჩევითი მოდული - 3 კრედიტის მოცულობით.



პროფესიული პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა 22 სასწავლო თვე.
პირს, რომელსაც უდასტურდება ქართული ენის ცოდნა მისთვის პროგრამის მოცულობაა 123 კრედიტი (სავარაუდო ხანგრძლივობა 22 სასწავლო თვე);
პირს, რომელსაც არ უდასტურდება ქართული ენის ცოდნა პროგრამის მოცულობაა 153 კრედიტი (სავარაუდო ხანგრძლივობა 28 სასწავლო თვე);

მოდულების ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის ცოდნა აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით

ს
მ
ე
წ
ო



მოდულების დასახელება:

- მეწარმეობა 3
- ინგლისური ენა
- ინფორმაციული წიგნიერება 2
- სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში
- სამედიცინო და ფარმაცევტული ტერმინოლოგია
- სითხოვანი წამლის ფორმების მომზადება
- მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადება
- მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება
- პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება
- მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში
- მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა
- მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა
- მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა
- მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა
- ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები
- მორფოლოგიის და მემკვიდრეობის საბაზისო საკითხები
- ანატომია-ფიზიოლოგიის საბაზისო პრინციპები
- ბიოქიმია



მოდულების დასახელება

- მიკრობიოლოგიის საფუძვლები
- ფარმაცოლოგია
- ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები
- ანალიზური ქიმიის საფუძვლები
- სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 1
- სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 2
- ტოქსიური ნივთიერებების ბიოლოგიური მასალიდან იზოლირება და აღმოჩენა
- ბოტანიკა
- სამკურნალო მცენარეული და ცხოველური წედლეული
- სამედიცინო ფიზიკის საფუძვლები
- პირველადი გადაუდებელი დახმარება
- მზა წამალთფორმების კლასიფიკაცია და შენახვის პირობები



კურსდამთავრებულს შეუძლია:

შეამოწმოს პროდუქცია ვიზუალურად
დაადგინოს თანხმლებ დოკუმენტაციასთან იგივეობა
შეამოწმოს სასაქონლო ნიშნები და რაოდენობა
განათავსოს პროდუქცია სათანადო ადგილზე
ჩაატაროს სააფთიაქო ნაშთის პერიოდული კონტროლი
განახორციელოს ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება–მარკირება
მომზადება რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი წამლის ფორმები
გათვალისწინოს მომხმარებელთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის
პრინციპები

განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შერჩევა-მიწოდება, კონსულტაციის
გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ
განახორციელოს ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია
განახორციელოს ანგარიშის მომზადება–ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული
შემოწმების, ექსტემპორალური წამლის ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად წამლის
ფორმების დაფასოების შესახებ
დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა და უსაფრთხოების წესები.

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პირმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული
მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიულ სტუდენტს კვალიფიკაციას ანიჭებს შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“.



სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასებით. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე - ჩათვლის პრინციპის გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:


- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

კლინიკური სწავლების მოდულების შეფასების ინსტრუმენტად და მტკიცებულებად, ტრადიციული ინსტრუმენტების ალტერნატივად, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პროფესიული სტუდენტის მიერ დეტალურად შევსებული და კლინიკური მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ჩანაწერების ჟურნალი, განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები, რეკომენდაციის სახით, მოცემულია მოდულებში.



შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია ამავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული წესით.





როგორ ჩავაბაროთ კოლეჯში?

კოლეჯში ჩაბარებით დაინტერესებული პირის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად, კოლეჯი გამოყოფს კონსულტირებაზე პასუხისმგებელ პირს.

კონსულტირებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დაინტერესებულ პირს:

- გააცნოს პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობები;
- მიაწოდოს ინფორმაცია კონკრეტულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და შერჩევის თავისებურებების შესახებ;
- მიაწოდოს ინფორმაცია პროგრამაზე ამ წესით გათვალისწინებული რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში, დაეხმაროს რეგისტრაციაში.
- გააცნოს კოლეჯში მომქმედი საგანმანათლებლო სერვისები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებები (მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელების, დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის ხანგძლივობა და ინტენსივობა, პროგრამის შინაარსი, პროგრამის განხორციელების ფორმა, დაფინანსების შესაძლებლობების) და სხვა.

დაინტერესებულ პირთა კონსულტირება ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში საფასურის გარეშე.





როგორ ჩავაბაროთ კოლეჯში?

პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, პირი გადის ავტორიზაციას სარეგისტრაციო სისტემაში და რეგისტრირდება აპლიკანტად განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში

სარეგისტრაციო სისტემაში დაცულია აპლიკანტის პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება და სისტემაში არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ელექტრონული რეგისტრაციისას შესავსები ველების ჩამონათვალი დგინდება მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა. რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი.

სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ კოლეჯის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად/ბათილად ცნობის საფუძველი რეგისტრაცია დასტურდება აპლიკანტის ელექტრონულ ფოსტასა და მობილური ტელეფონის ნომერზე ერთჯერადი კოდის გაგზავნით. შევსებული მონაცემები მისთვის ხელმისაწვდომია ინდივიდუალური ანგარიშის მეშვეობით. აპლიკანტს არჩევანის შეცვლა შეუძლია რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადაში.





მართვის სისტემა უფლებამოსილია რეგისტრაციის პროცესში პირის იდენტიფიცირება განახორციელოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომში - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო) მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული პერსონალური მონაცემებით. მართვის სისტემა აპლიკანტის განათლების მიღწეული დონის შესახებ ინფორმაციას ამოწმებს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემებში, აპლიკანტის შესახებ მონაცემების არსებობის შემთხვევაში.

რეგისტრაციისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, სარეგისტრაციო სისტემაში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია.

უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციის შემთხვევაში, აპლიკანტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მართვის სისტემა იტოვებს შესაძლებლობას ტესტირების მიზნით, აპლიკანტი გადაანაწილოს სხვა საგამოცდო ქალაქში/მუნიციპალიტეტში. აპლიკანტთა შერჩევა გულისხმობს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასებას. შერჩევის პერიოდი, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით.





შერჩევა ხორციელდება ქართულ ენაზე, ასევე შესაძლებელია განახორციელდეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე. პროფესიული სტუდენტები, რომლებიც შერჩევას გაივლიან რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე სწავლას დაიწყებენ ქართული ენის მოდულით. ქართული ენის მოდულის დაუძლეველობის შემთხვევაში, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი. ქართული ენის მოდულის დაძლევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსით

უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარების თარიღი განისაზღვრება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. თითოეულ უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევა განხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით. დადგენილ შერჩევის პერიოდში. ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირებისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ადგენს ცენტრის დირექტორი. მართვის სისტემა, შესაბამისი პროგრამისთვის რეიტინგულ სიას ადგენს ტესტირების შედეგების მიხედვით. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას.

ჩარიცხვის წესს შეგიძლიათ გაეცნოთ ბმულზე:

<https://mscollege.ge/images/files/pdf/profesiul-saganmanatleblo-programaze-charicxvis-wesi.pdf>





როგორ მოვიპოვოთ პროფესიული
სტუდენტის სტატუსი?

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურები და ვადები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით, რომლის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურებისა და ვადების შესახებ განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზუსტი დასახელება საფეხური, სწავლის საფასური და ადგილების რაოდენობა; საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;

წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი:

- ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში – კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება;
- ბ) პასპორტის/პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი ასევე მისი კანონიერი წარმომადგენლის პასპორტის/პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი);
- გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი);
- დ) 2 ფოტო სურათი
- ე) ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი





რა არის სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა
და მობილობა?

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად ითვლება კოლეჯსა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტად განიხილება დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე.

პროფესიული სტუდენტის მობილობა არის პროფესიულ სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლებისა და კრედიტების აღიარება.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, შეჩერება და მობილობის პროცედურები შეიძლება იხილოთ შემდეგ ბმულზე:

<https://mscollege.ge/images/files/pdf/sawavlo-procesis-maregulirbeli-wesi.pdf>



ჩვენი კოორდინატებია:

ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა N 80

📮 საფოსტო ინდექსი 3000

☎ 599041184; 591919784; 577970205; 593530404

🌐 www.mscollge.ge

✉ mscollge.ge.edu@gmail.com





შეცვალე

მოძავალი

განათლებით